

72  
390

ISSN 0132-5967

საქართველოს  
განმანათლებლო  
მედიის ცენტრი



საქართველო


1990 წ. აგვისტო № 8

## სოფლად დარჩნა ბებო მარტო

პრიგორ ნახინიშვილი

მამამ უთხრა  
დილით  
ბავშვებს:  
დღეს ქალაქში მივდივართ.  
გაურენილა ეს საფსული, —  
დელაფს ნატო,  
დელაფს აუთო...  
— ეს გორდია,  
— ეს ღისია, —  
მძღოლი მია ბავშვებს ართობს...  
მიჰქრის აუტო,  
გუნა უართო,  
სოფლად დარჩნა ბებო მარტოდ.

მხატვარი **ლალი ლომთაძე**



# ძვენიერი

ქვემოთაა

## ..შენა ჰნად ან როგორია?..

სიხინო ბაგრატიანი

რა სიხარულით მინდა ორიოდ სიტყვა გათხროთ ორ დიდ ქართველ პოეტზე და წაგაკითხოთ მათი ზოგიერთი სტრიქონი...

წლებიანდელ აგვისტოში ერთის დაბადების 285 წელი შესრულდა, მეორისა — გარდაცვალების 75 წელი.

ორივე საქართველოსთვის დაიბადა,

ორივე საქართველოს მოუკვდა.

ერთია **ღაპრით გურამიშვილი**.

მეორე — **შაჟა-ფშაველა**.

ორივეს მწარ-ტკბილი სიყვარულით უყვარდა სამშობლო და ორივესთვის ეს სიყვარული იყო არა მარტო მშობლიური მიწა-წყლის, მისი ღამაში მთების და ყვავილეებით მოხატული ველების სიყვარული, არამედ ამ მიწა-წყლის სამსახურის სურვილიც, თანამომემთა სარგებლობაზე ფიქრი და საამისოდ შრომა და ღვაწლიც.

ორივე ისეთი მამულიშვილი იყო, რომლებსაც მაღლიერებით ეტყოდა შთამომავლობა:

„ოდროსოდროსა აღაღსა

ღახღეთ ბილიკი სავალი,

შიშეულის სელით დაჰკლიჯეთ

ნარი-ეკალი მრავალი“...

რას გვასწავლის ვაჟა ფშაველა?

იმას, რომ სამშობლოს სიყვარულია გულმონწყალებაც, ბუნებისა და ადამიანის სიყვარული და გაფრთხილებაც, ხელის გამოღება და თავის გაწირვა იქ, «სად ძალა აღმართს ჰკვალადედს, გაბეზავებულის სიმართლეს უსამართლობა სძალადედს»... გვასწავლის, ვივით «ერთის ფიქრით და გრძნობითა» განმტკიცებული, «არსებით განუყოფელი», და მაშინ

„ეგებ ხეენც გამოკვიდარდეს,  
ღღე დაეინასოთ შხინანი!“

რას გვასწავლის დავით გურამიშვილი?  
«ისმინე სწავლის მიძნელოო»,

„ემაწვილი უნდა სწავლობდეს  
საღნობლად თავისდალი:  
ვინ არის, სიღამ მოსულა,  
სად არის, წავა სადაო?“

ისწავლეთო, რადგან სწავლა ისეთი საუნჯეა, კაცს «არც ცხადის ძალით წაერთმის, არც ძალვით მოიპარებს!» ისწავლეთო, რადგან უსწავლელად ვერც თავს გაიტანთ, ვერც ქვეყანას წაადგებით, ისევე, როგორც

„თუ ცურვასა არ ისწავლით,  
ვერ გავსვალთ წელათა ღრმათა...“



განსწავლულობა და სიკეთე-სათნობა უსამართლობის დაძლევის ძალას მოგვცემთ, «მაგარ» სულს ჩაგებრავთ! აი, ეს არის სამშობლოს სიყვარული!

„შენ, ჩემო წინამორბელო,  
უძვირფასესო ზაზაო!“ —

ასე მიმართავდა ვაჟა ფშაველა დავით გურამიშვილს, რომელსაც მასავეთი თეული» სისხლი უფულოდა ძარღვებში. ჩვენი, ჩვენი უძვირფასესი პაპებივით, ვინატროთ:

„ნამბურე სული მაგარი,  
სამშობლოე მწუხანიანო!“

დავით გურამიშვილი

„ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა, ხუცესი წირვით, ვაჭარი შორს წასვლით-მოსვლით მხელითა; მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხენელი ოფლითა ცხელითა. გლახა კარის-კარ თხოვნითა, შენა გუადს აწ რომელითა?“

# მთიანეთი გავუფიქრო ქადაგებუნი

## ვაჟა ფშაველა



ს, მთებო ამწვანებულო, როდისა გნახოთ თვალითა? ჩემო ზატარა სოფელო, ზატარიკაის ჭალითა, სვიით გაბმულო მურუნებო, კალმხიანის წყალითა?! ახ, საჭამანდო შეინდისხე, ხის კოვსითა და ჯაშითა, ნადულო დედიჩემისა, გამძლო შენი ჭაშითა! აუბნა დედან ზღაპარი, მე მასშენინა ღამითა! არ იცით, ჩემო სწორებო,

როგორა ვაგდეგი ჯავრითა?! ხეტავ პროსებში გამკზავნა და დამასველა წვიმითა, დამინებულსა თავის შინ გამძვინძვებოდა დილითა, შენახა მშობელი ჭკერი იმ მკვარტლიანის ზირითა! მანამ მანდ ვიკავ, შინ ეოფნა არად გამანდა ბევრად: არც მთა მიღირდა ძვირად, არც თავის კერა — კერად, აქ-ღა გავიგე, სამშობლო ტკბილი ეოფილა მხელიდა.

# ნაყინი ჩვენს ეკოში

ტარიელ ჟანდარიძე

მხატვარი ლალი ლომიძე

გამობშია ურიკა  
 კუდში მოტოციკლეტს!  
 — ნაყინი! — უკირილი  
 მთელს ჩვენს ეკოს იკლებს!  
 ჩამობურულ თალართან  
 ჩრდილში დადგა ურიკა!  
 დაეხვივნენ ურჯვას  
 გულა,  
 ღელა,  
 ზურვიო!  
 — ბუბიკონა! აბაზი!  
 — ბაბუ! ორი აბაზი! —  
 ისმის გადაძახილი  
 ბუბანი და საბანი!  
 — აბა, კარგი ნაყინი!  
 აბა, აქე! ნაყინი!  
 სწორედ თქვენთვის მოვედო!  
 წვალღებთ მოგაგვენით!  
 ნაყინია — იფ-იფ!  
 ნაყინია — ზა-ზა!  
 განა დნება! — იმ დღეს რომ  
 მოგეთხვარა კაბა!  
 თოვლის შვილი — ნაყინი!  
 ენის შვილი — ნაყინი!  
 სულ — ალუბლის წვეწვინს და  
 ატმის წვეწვინს ნაყინი!  
 — ბუბიკონა! აბაზი!  
 — ბაბუ! სამი აბაზი! —  
 ისმის გადაძახილი  
 თამაზის და რამაზის.  
 რა ქნას ბებოპ, ნაყინი  
 არ ეჭმევა ჯაბას,  
 თორემ ვინ მამამადლი  
 დაიშურებს აბაზს!



— ბუბიკონა! გავადნობ  
 ნაყინს, როგორც ფაფას! —  
 მხვრამ ცივი — არც ფაფა  
 არ ეჭმევა ჯაბას!  
 დასვეკიან ბავშვები,  
 ცისფერ მოტოციკლეტს!  
 მენაყინე არტაშა  
 მთელ ჩვენს ეკოს იკლებს:  
 ნაყინი!  
 ნაყინი!  
 — დღეს სადღაა ციება  
 თავისი ქინაქინით!  
 არ ვცივდებით, ბატონო,  
 მომაწოდეთ ნაყინი!  
 — ბუბიკონას ჭირიმე,  
 ნუ დამხური ქოქოლას!  
 ერთს მივირთმეე „ზლომბირს“ და  
 მეორეს კი — „შოკოლადს!“  
 — ისე მიუვარს ვანილის  
 უცნაური სურნელი!  
 უარი თქვა ნაყინსე —  
 უნდა იყო სულელი!  
 ისმის ერთი უკუანი!  
 ისმის ერთი ეივინი:  
 — ახალია ნაყინი?  
 — რა ღირს თქვენი ნაყინი?  
 უიდას მია არტაშა  
 „ზლომბირსა“ და „შოკოლადს!“  
 რაც აქ ხდება, ნამდვილად  
 ღირს ამისი მოყოლა!  
 თუ მოხდა და კბილები  
 თუ გაქვს დასაწლომბი,  
 უნდა დაეშვიდობო  
 „შოკოლადს“ და „ზლომბირს“.



# სიკეთე

## პაატა მოიხარაზიშვილი

მე მინდა მოგითხროთ იმ ქვეყანაზე, რომელსაც სახელად სიკეთე ერქვა და უზარმაზარი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა.

სიკეთე პატარა ქვეყანა იყო, და დიდ სახელმწიფოში მის არსებობას ვერავინ ამჩნევდა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ პატარა ქვეყნის კეთილი მაცხოვრებლების ფიქრებსა და ოცნებებსაც არავინ აქცევდა ყურადღებას.

ერთ ვარსკვლავიან-მოვარიან ღამეს, როცა უზარმაზარ სახელმწიფოში ყველას ტკბილად ეძინა, ამ კეთილი ქვეყნის მოქალაქე ერთი პატარა ბიჭუნა ბოლთას სცემდა და რაღაც მიუწევდომეღზე ოცნებობდა. უცებ ქარმა დაუბერა, ფანჯარა გამოაღო და შუადღამის სინურეში გაისმა თბილი, ტკბილად მოუბარი ხმა ღრუბლებიდან:

— რატომ არ ქრება შენს ფანჯარაში

სინათლე?

ბიჭს ეგონა, ალბათ მომესმაო, მაგრამ ხმა ისევ გამოვლავარაკა:

— ყველას სძინავს, შენ კი ფიზილობ, გამომიღო უძილო ღამეების მიზეზი.

— მე მინდა, დედამიწაზე მცხოვრებ ყველა პატარას ერთად მოვუყარო თავი და ჩემი

კეთილი ქვეყნის უძველესი და უღამაზესი ზღაპრები ვუამბო.

— ეგ არის შენი ყველაზე დიდი ოცნება? — დაინტერესდა უჩინარი.

— დიან, მთელმა ქვეყანამ მინდა იცოდეს ჩემი ზალხის არსებობა, იცოდეს, რომ ჩვენს ქვეყანას სიკეთე ჰქვია და ყველას მიმართ კეთილად ვართ განწყობილი.

— ნეტავ რატომ გაგიჩნდა ასეთი სურვილი?

— მაგას რა მიხვედრა უნდა! — გაოცდა ბიჭი. — როდესაც ბავშვები კეთილ ზღაპრებს მოისმენენ, ისინიც მოსიყვარულე, გულთბილი, კეთილი ადამიანები გაიზრდებიან, ჩემი ლამაზი ქვეყნის გულისთქმას გაიგებენ და მტერი აღარ გვეყოლება.

— მე შეგისურვებ ოცნებას. თქვენ მუდამ სიკეთე ჰქმენით და როცა მიწას მოვევლინებ, თქვენს ქვეყანაზე გავაკეთებ არჩევანს.

— კარგი, — გაუხარდა ბიჭს და ისეთი სიმღერა წამოიფეთ, რომ მსოფლიოს ყველა ბავშვი მოეზნადა მისი წინაპრების ზღაპრების მოსასმენად...

მას შემდეგ ყველამ იცოდა ქვეყანა **სიკეთე**, რომელთანაც ღმერთი ოდესმე ჩამოსვლას ანებებს.

# პატარა ქართველის სივლება

ნანა საბანაძე

ღვას უტყვად მეტეხი —  
ფუძე შეც მაქვს საღისა,  
ძარღვეში მიღულს მამაცი  
სისხლი გორგასაღისა.  
ზარი გვიმობს მოძველის,  
ღრმად დარეკა სხვაგვარად,  
ნარიელად ბებური  
მკლის მუხლებზე დამდგარა.



მატყარი ბასო ხილაშალი  
ერეკინული  
გინელირთეკა



## ვაშლის წიმი

ზინიოლ ჯულუსიძე

ვაშლის ხე თეთრად აფეთქდა,  
ესო სურნელით აივსო,  
ამ ხეს ბაბუა გურამი  
ემახის ვაშლის სამაისოს.  
მაისის ბოლოს ტოტები  
შეირევს ღოუაწითელებს,  
მერე იუნისის კარებზე,  
როცა მზე გადაისვენებს,  
ქარი შეარსევს ხეს  
და ძირს  
წამოვა სეტყვა ვაშლისა,  
ბუბია დაჭრის ჩირებად  
ლერწმის ჩელტებზე ვაშლის და  
მხესე დმრება,  
დატეება...  
მერე ზაფხულიც გავა და,  
ნინოს და ეკას ზამთარში  
ექნებათ სახუსნაუდა.

რეჟისორი

ბავშვებო, წინა საუბარში გვიამბეთ მსოფლიო მიწიდანობის ძალაზე, რომელიც მოქმედებს ციური თუ სხვა ნებისმიერი სხეულების მოძრაობაზე. საერთოდ შეუძლებელია სხეულის ამოძრავება ან მოძრაობა სხეულის მოძრაობის სიჩქარის შეცვლა, თუ მასზე რაიმე ძალა არ მოქმედებს, და რაც უფრო დიდია ეს ძალა, მით უფრო სწრაფად იცვლება სხეულის მოძრაობის სიჩქარე. მაგრამ ეს სისწრაფე, გარდა ძალისა, დამოკიდებულია სხვა სიდიდეზეც.

მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი.

წარმოიდგინეთ, რომ წრეხაზზე დგახართ და ხელბურთს თამაშობთ მსუბუქი ბურთით. ბურთს ხელს მოარტყამთ და ადვილად აწოდებთ ერთმანეთს, დიდი ძალა არ გეხარჭებათ, ისედაც სწრაფად უცვლელით მას მოძრაობის მიმართულებას. მაგრამ აი, რაღაც მიზეზის გამო იძულებული გახდით მსუბუქი ბურთი მძიმეთი შეცვალოთ. თამაში უკვე გაგიჭირდებათ, რადგან ბურთს რომ სწრაფად შეუცვალოთ მიმართულება, გაცილებით მეტი ძალაა საჭირო. ეს იმიტომ ხდება, რომ რაც უფრო მეტია ბურთის სიმძიმე, უფრო სწორად მასა, რომელიც მის სიმძიმეს განსაზღვრავს, მით უფრო მეტი ძალაა საჭირო მოძრაობის სიჩქარის შესაცვლელად. სხეულის მასა და სიჩქარე თითქოს ერთად, ერთ „კონადა“ შეკრული. ამ „კონას“ მოძრაობის რაოდენობა, ანუ იმპულსი ეწოდება. მას აქვს მიმართულებაც. უძრავი სხეულისათვის, ცხადია, ეს იმპულსი ნულს უდრის, რადგან მისი სიჩქარეა ნულის ტოლი. ახლა წარმოიდგინეთ, რომ უძრავ სხეულს გამოეყო რაღაც ნაწილი და მოძრაობა დაიწყო. ამ ნაწილს გაუჩნდება თავისი მოძრაობის

რაოდენობა — იმპულსი. მაშინ სხეულის დარჩენილ ნაწილსაც აუცილებლად გაუჩნდება ტოლი და საწინააღმდეგო მიმართულების იმპულსი. ეს აუცილებლობა გამოწვეულია ბუნების ერთ-ერთი ძირითადი კანონით — მთელი სხეულის იმპულსის მუდმივობის კანონით. რომ არ არსებობდეს სხეულის იმპულსის მუდმივობა, კოსმოსში გაფრენაც შეუძლებელი იქნებოდა. გაიხსენეთ კოსმოსში თანამგზავრის გაშვების მომენტი, რომელიც რამდენჯერმე გინახავთ ტელევიზორით. ვერტიკალურად მდგომი ხომალდის ბოლოდან „გამოვარდება“ ცეცხლის ალები და თანამგზავრი ზევით მოძრაობას იწყებს. ცეცხლის ეს ალები ახლავს საწვავის დაწვის შედეგად წარმოშობილ აგზებს, რომლებიც დიდი სიჩქარით გამოდი-







ან ხომალდის ბოლოდან. ეს გაზები ხომალდის ის ნაწილია, რომელიც შორდება მას, და უკან მიმართულ იმპულსს იძენს. ხომალდის მეორე ნაწილი, ანუ თანამგზავრი, საწინააღმდეგო იმპულსს შეიძენს და მალლა აფრინდება. ეს უაღრესად ლამაზი და ამავე დროს „საოცარი“ მოვლენა სწორედ მოძრაობის მუდმივობის კანონით შეიძლება აიხსნას.

ახლა კიდეც ერთ „საოცარ“ ფაქტზე ვისაუბროთ.

ოთახში გარკვეული სიმალიდან ხელი გაუშვით ბურთს. თუ ოთახის იატაკი საკმაოდ გლუვია, ბურთი იმავე სიმაღლეზე დაგიბრუნდებათ. თუ ბურთს ზევიდან ხელს დაარტყამთ, მაშინ იატაკზე დაცემის შემდეგ უკან დაბრუნებისას ბურთი უფრო დიდ სიმაღლეზე ახტება. თუ იატაკი გლუვი არ არის, მაშინ ხელის

თავისუფლად გაშვებისას ბურთი შედარებით მცირე სიმაღლეზე დაბრუნდება. ხომ გაინტერესებთ, რატომ ხდება ასე? აქაც მოქმედებს ბუნების ერთი შესანიშნავი კანონი. ყოველ სხეულს, იმის მიუხედავად, თუ რა მდებარეობა უჭირავს მას სივრცეში, აქვს ენერგია — უძრაობის ან მოძრაობის, ან ორივე ერთად. როცა ბურთი რაღაც სიმაღლეზე უძრავად გვიჭირავს ხელში, მას აქვს უძრაობის ენერგია. როცა მას ხელს შევეშვებით, უძრაობის ენერგია თანდათან შემცირებას დაიწყებს, სამაგიეროდ იმატებს მოძრაობის ენერგია. იატაკზე დაცემის მომენტში ბურთს მოძრაობის ის ენერგია აქვს, რომლის ხარჯზეც იგი უკან გვიბრუნდება. იატაკიდან ასხლეტის შემდეგ კლებულობს მოძრაობის ენერგია და მატულობს უძრაობის ენერგია. ბურთი გაჩერდება მაშინ, ესე იგი იმ სიმაღლეზე, როცა მოძრაობის ენერგია მთლიანად „გადავა“ უძრაობის ენერგიაში. რადგან ასვლის სიმაღლე ერთნაირია ვარდნის სიმაღლეს, აქ მოქმედებს ენერგიის მუდმივობის კანონი.

თუ იატაკი არ არის გლუვი, მაშინ ბურთიც არ დაგიბრუნდება იმავე სიმაღლეზე. როცა ბურთს ზემოდან ხელს ვურტყამთ, მას დამატებით მოძრაობის ენერგიას ვანიჭებთ. ცხადია, ამ შემთხვევაში ენერგიის „მარაგი“ მას საშუალებას აძლევს, იატაკიდან ასხლეტის შემდეგ უფრო დიდ სიმაღლეზე ააღწიოს.

ბუნებაში არსებობს სხვა სახის ენერგიებიც. ამასთან ერთი სახის ენერგია შეიძლება სხვა სახის ენერგიად გარდაიქმნას. სწორედ ასეთი გარდაქმნის გამოა, რომ დღეს შეგვიძლია ვისარგებლოთ მანქანებით, მატარებლებით, თვითმფრინავებით, რომ გვაქვს ელექტროგანათება და სხვა. ამ ენერგიებს და მათი გარდაქმნის კანონებს თქვენ დაწვრილებით შეისწავლით ფიზიკის კურსში.

აფსორილან „ბიჭები“,  
როგორც მამლაფინწები...

ერთი მართლა ბიჭია,  
„მტერს“ გულდაგულ მისჭრია...  
მეორე კი დინჯი ჩანს,  
ტან-ფეხი აქვს რკინისა,  
სულ არა ჰგავს ჩხუბისთაფს,  
დადის ჩხარა-ჩხურითა...

ბიჭი უტევს რკინკაცს,  
ცდილობს მისწვდეს დილაკსა, —  
თითის ერთი მიჭერით  
გაუშემოს კისერთი.

ბოლოს გაწურა რკინკაცა,  
სწვდა ონაფარ ჭინკასა:  
— დამიხედეთ ამასო, —  
ჩასცხო,  
კოპი დაასო...

— ჩართული ვარ ცოცხალი,  
თუ გამომართო — მოშკალი!

შავტყარი პაპა ქარხნული

## გელა ხიღჲე

გიორგი მხარაპელი

ინდი-მინდი, ინდი-მინდი,  
ბონდის ხიღჲე გელა მიდის,  
აქანაჲდა ხიდი ნელა,  
შეკვიძინა ბიჭი გელა...  
ინდი-მინდი, ინდი-მინდი,  
გელა ხიღჲე უელარ მიდის!





## მინდორში ერთი ქვა გდია

ელგუჯა მერაბიშვილი

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

წყლიან არხზე ორთვალამ რაკრაკით გადაიარა და თადა პაპამ მაშინვე სადავეს მოსწია, კორდიანისაკენ მიაბრუნა ცხენი.

უკანა კოფოზე გეგა და ბებური ისხდნენ და ეშმაკურად მოკუტული თვალებით მისჩერებოდნენ დაღვრემილ მოხუცს. გეგამ მამლაყინ-წასავით წაიგრძელა კისერი და კიდევ ერთხელ გაიმეორა ლექსი:

მინდორში ერთი ქვა გდია,  
მასზე ლოცულობს ეოგელი,  
ზედ მანანები დასდიან,  
შველას იმათგან მოველი.

თადა პაპამ ფოჩიანი მათრახი შემართა:

— თქვენ რა, აქ სალექსოდ წამომიყვანეთ?.. დანა რო დამკრა, ცვარი სისხლი არ გამომივა, ისე ვარ გამშრალი კაცი... მსხმოიარე ბალი მელუპება, ეს უზარდლეულები კიდევა დგანან აქა და მელექსებთან.

გეგას სულაც არ უნდოდა პაპას წყენინება, უბრალოდ, ის ქვა დაინახა, რომელთანაც მიდიოდნენ, და იმიტომ წამოიწყო ლექსი.

ბიჭები ახლა თადა პაპას ბალიდან მოდიოდნენ, საკუთარი თვალით ნახეს, თუ რა დღე დაე-

ყარა მსხმოიარე ვაშლისხეხებისათვის უცხო მავნებელს — ძაფივით გაწრიოკებულ ჭიაუელასა თუ მატლს, რტოები ჩაედრუტნა და გულს უქამდა, სულ ქვევით მიუყვებოდა ტოტებს.

ბიჭებმა დახმარება შესთავაზეს თადა პაპას, პირველად მაშინ უთხრეს ლექსი თეთრ ქვაზე და იქიდანვე მის საქმენლად წამოვიდნენ.

გეგა პირველი ჩამოხტა კოფოდან, მას ბებური მიჰყვა, ცოტა მერე თადა პაპამაც ქალზე ჩამოკიდა სადავე და უნდომრად გააბიჭა მათკენ.

ბიჭები კორდიანში ძირგადგმულ დიდ თეთრ ქვასთან იდგნენ და შუის მხარეს, ქვის ძირას აფხვიერებულ პაწია გორაკებს დაჰპურებდნენ.

— ეს თეთრი ქვა ჭიანჭველების ქალაქის ცაა, მის ქვეშ ათასი ქუჩა, გზა და გვირაბია ერთმანეთში გადახლართული, მრავლად არის საცხოვრებელი ბინები, ჭუპრების სააღმზრდელო, ანუ საბავშვო ბაგები, აქვთ საექიმოები და სახელოსნოები...

— მერე და ეგ უველაფერი მე რას მარგია? — ველარ მოითმინა თადა პაპამ.

— გვარგია თუ არა, ახლავე შევიტყობთ, — გეგამ წინასწარ საგანგებოდ აჭრილი ვაშლის დაზიანებული რტოები ძირს დააწყო, მერე ერთი

აილო, შუაზე გახლიჩა და იოლად მიაგნო მის გულში დაბუღებულ ჭიაჭუას, ამოაწიალა და ვულკანივით ამოფრქვეულ, აულო მიწად აბუღებულ ჭიანჭველების ბუდეზე დააგდო.

მუშა ჭიანჭველები ყოველი მხრიდან მიუახლოვდნენ მატლს, დაუნოსეს, მერე ეცნენ და ბუდის მთავარი შესავლელისაკენ წაათრის...

— არის დამხმარე ლაშქარი! — ტაში შემობჭრა ბებურმა.

— ბუდე შუაზე უნდა გავყოთ, რომ ოჯახი არ მოიშალოს, ერთი ოცი სადედე მინც უნდა გავაყოლოთ; ოთხ-ოთხი ფრთა რომ მოუჩანთ, ეგენი არიან სადედეები.

გეგამ პარკი მოაშხადა. ბებურმა ნიჩაბი წაუგლო ბუღბუღს.

— ფსკერიდან უნდა ავილო, თორემ ბუღბუღის ფუძეში ჰყავთ ხოლმე ჭუპრები, მომავალი თაობაც ხომ დაეჭვირდება.

თადა პაპა თანდათან ხვდებოდა, რასაც აპირებდნენ ბიჭები — მის დადავებულ ბაღში ჭიანჭველების ქალაქი უნდა გაეშენებინათ.

— სკოლაში „მწვანე საგუშაგო“ დავაარებთ, ახლა ვცდილობდით, შხამქიმიკატების მაგიერ სასარგებლო მწერები გამოიყენოთ ხეხილის მავნებლებთან ბრძოლაში.

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეთ, — ჩაილაპარაკა თადა პაპამ, ჭაღარა ქოჩორზე ხელი აიკრა და ცხენის სადავე ახსნა ჭალიდან.



... ბაღში ყალთალი ადგილი შევარჩიეს, ფრთხილად წამოაპანეს პარკიდან ბუდეებს მასალა — აულო მიწა და წვრილი ფიჩხის ნაკურჭი, სადაც ჭიანჭველები და ჭუპრები ერთმანეთში ირეოდნენ.

გეგამ სადაღაც ძირგავარდნილი გოდორი მონახა და ზედ დაამხო ჭიანჭველების მომავალ ქალაქს, ასე უფრო დაცულები იქნებოდა.

ყოველდღე მოდიოდნენ ბიჭები ჭიანჭველების დასახედად. მუშა ჭიანჭველებს უკვე მოეწყობოთ სავალი ჭუჩებიცა და ჭუპრების საშალავეებიც, ხოლო სადედეებისათვის სადედოფლო ადგილები მიეჩინათ...

— თადა პაპამ ეჭვით გადააქინა თავი:

— ეგენი, როგორც გინდა გავემო, იმ წვრილ ჩურჩუტანებში ვერ შეეტვიან.

— ფოქი ნუ გაქვს, პაპა, ახლაგამოჩევილებიც ხომ არიან; უკვე ჰყავთ გამორჩეული წინამძღოლი, აგერ ახლაც პირველი ის მიიჭრა მატლთან, ხედავთ? მე მაგას ტანწვრილა შევარქვი.

ტანწვრილა პირველი მიუახლოვდა ყლორტების განშტოებასთან გაკეთებულ ხვრელს და შიგ გაბეღულად აღსურთა თავი. ვარეთ ბლომად ჭიანჭველები ელოდნენ და როგორც კი ტანწვრილამ ნანადირევი გამოათრია, უველა გარს შემოერტყა მატლს, გასწიეს და გამოსწიეს. რაკი ერთი გემრიელი ჩიჩიის გემვი იკრეს, სხვა ხვრელებსაც წამოუარეს.

თადა პაპამ გული დაიარხინა და ორღობეში გავიდა ბიჭებთან ერთად.

— რა ქენი, თადა პაპა, გადაარჩინე ბაღი? — ეკითხებოდნენ გამვლელბი.

— იმისთანა პრაპისორები დავახვიე, რას პრ გადაპირჩენდნენ, — აი, ეს ვაშლიკბეჩიები არიან ჩემი ბაღის გადამრჩენები, ცოდოც კი იყო ამათი უვაშლოდ დატოვებაი, ამ ნაფოტაკბილებიანი პრაპისორებისა, ამათ ენაცვალოთ თადა პაპაი, — ხელებს ხვევდა აქეთ-იქიდან მხარში ამომდგარ ბიჭებს.

— ჩვენ რა შუაში ვართ, — დაირცხვინა გეგამ.

— მთავარი ის არის, მინდორში რომ ერთი ქვა გლია, — დაუმატა ბებურმა.

— ამას ასე იტყოდნენ ძველები: თოფი მეთოფეს, მეთოფე სოფელსაო, — შეჰხაროდა ბიჭებს თადა პაპა.

გადარჩენილი ბაღი კი მწვანედ ღაღანებდა, შრიალით ეპასუხებოდა მათს საუბარს.

## პაპა და მამიკო



არის ორი დაიკო —  
 ეკუნა და მამიკო,  
 ექიმი ჰეავთ დედიკო,  
 მშენებელი — მამიკო.  
 გაუკეთეს თოჯინებს  
 უამრავი ნემსები,  
 დაუამეს ტკივილი  
 თბილი მოალერსებით.  
 დამტვრეული ხელ-ფეხი  
 შეუსვამეს თოჯინებს,  
 კამფეტების წამლებით  
 ეველა მოამჯობინეს.

სააკი გვჩაბა

## უპიდი დღე

- ორშაბათი, ორშაბათი.
- ბაღში მისდევს ბოშას ბატი.
- სამშაბათი, სამშაბათი.
- შურიის ეანას ხარშავს ხვატი.
- ოთხშაბათი, ოთხშაბათი.
- თათს ლოკავს და ოსრავს დათვი.
- ხუთშაბათი, ხუთშაბათი.
- ერთად ცუდქობს ეურშა ათი.
- წარსკევი, წარსკევი.
- კბოღეს ბინულს მწარავს ხევი.
- შაბათი, შაბათი.
- შხო, გვანვი შარბათი!
- კვირა, კვირა.
- ბებო ვაშლსა ჩირავს,
- ჭინკა ჭიმავს უირას.



მხატვარი მანანა შორიჩილაძე

# საქართველოს საუკუნე

## სროლა

ნოდარ გუგუშვილი

ცეცხლმსროლი იარაღი გამოიგონეს XIV საუკუნის მეორე ნახევარში, მსროლელთა პირველი ოფიციალური შეჯიბრება კი 1452 წელს გაიმართა შვეიცარიის ერთ პატარა ქალაქში — სიურში და აქედან შემდეგ მთელს ევროპაში გავრცელდა. დაახლოებით ამ პერიოდში დაიწყო სროლისთვის განკუთვნილი ნაგებობების — ტირის, სასროლეთის მშენებლობა, თუმცა... ისტორიკოსთა მტკიცებით უმარტივესი ტიპის სასროლეთები ჯერ კიდევ რვა ათასი წლის წინათ არსებულა. აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოდან 60 კილომეტრის დაშორებით, კობისტანის კლდის ნანგრევებზე აღმოჩენილია პირველყოფილ მონადირეთა მიერ შესრულებული ნახატები. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახული ხარი მთლიანად დაცხრილულია ისრისა და შუბის წვერების ნაკვალევით. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ მაშინდელი მონადირეები სწორედ აქ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სროლის სიზუსტეში. თუ ეს ვარაუდი მართალია, გამოდის, რომ ხარი კაცობრიობისათვის ცნობილი პირველი სამიზნე ყოფილა.

1498 წელს ავსტრიელმა მესაკურველემ გასპარ ცოლნერმა თოფის ლულას შიგნიდან დააყოლა ზვეული ღარები. ეს გამოგონება ახალი ერის დაწყებას ნიშნავდა იარაღის წარმოებაში. გაცილებით

უფრო გვიან — გასული საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა სპორტული ენგლისელებმა ბირმინჰემში დაპირველი მცირეკალიბრიანი შაშხანა, იარაღი, რომლითაც სულ მალე მსოფლიოს ყველა სასროლი კლუბი აღიჭურვა. „კოლტისა“ და „სმიტ-ვესონის“ სისტემის პისტოლეტები კი დღემდე საუკეთესობად ითვლება.

1905 წელს შეიქმნა სროლის ეროვნული ფედერაციებისა და ასოციაციების საერთაშორისო კავშირი, რომელმაც იარსება 1915 წლამდე და პირველი მსოფლიო ომის დროს გაუქმდა. უკვე 1921 წელს შვეიცარიაში ჩამოყალიბდა სასროლი სპორტის საერთაშორისო კავშირი, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდა 130 ეროვნული ფედერაცია და რომელიც დღესაც წარმატებით ხელმძღვანელობს სპორტის ამ სახეობაში გამართულ ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან შეჯიბრებას.

სპორტული სროლა ორგვარია — სასტენდო სროლა და ტყვიის სროლა. მოძრავ სამიზნეებზე სროლის ასპარეზია



სტენდი. ადრე მოძრავ სამიწნეებად გაფრენილ მტრედებს იყენებდნენ, მაგრამ ბუნების დაცვის ორგანიზაციათა კატეგორიული მოთხოვნით „მტრედებზე ნადირობა“ შეიცვალა „თევზებზე ნადირობით“. ტყვიის მსროლელები კი, უმთავრესად, უძრავ სამიწნეებს ესვრიან — ამის გამო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონფლიქტი მათ არ ჰქონიათ.

საქართველოს საკმაოდ მდიდარი ტრადიციები აქვს სროლის ორთავე სახეობაში. 70-იან წლებში სასტენდო სროლის უბადლო ოსტატად ითვლებოდა ტარიელ ულენტი, რომელიც არაერთხელ იყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი. 80-იან წლებში მას ესტაფეტა ჩამოართვა მეორე შესანიშნავმა მსროლელმა, თამაზ იმნაიშვილმა, რომელმაც სპორტული კარიერა სულ ახლახანს დაასრულა მსოფლიო ჩემპიონის რანგში.

ტყვიის სროლაში შესანიშნავი შედეგები ჰქონდა შოთა ქველიაშვილს — ოლიმპიური, თამაშების პრიზიორს, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონსა და

რეკორდსმენს, 60-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო მსროლელს. მაგრამ ქველიაშვილი ეურადლებას ნინო სალუქვაძის ბოლოდროინდელი წარმატებები იმსახურებს. ამ ნიჭიერმა გოგონამ ჰერ კიდევ სკოლის ასაკში გააოცა ყველა დიდი ოსტატობით და სტაბილური შედეგებით. ნინო სალუქვაძე საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი გახლავთ. ორი წლის წინათ კი მან სეულის ოლიმპიური თამაშები მოიგო და ქართული სპორტის ისტორიაში უკვე დაიმკვიდრა ერთ-ერთი მოწინავე ადგილი.

მაგრამ ნინო სრულიად ახალგაზრდაა და საბოლოო სიტყვა სპორტში, ცხადია, ჰერ არ უთქვამს. მას დიდი გეგმები აქვს და, რა თქმა უნდა, სურვილიც, რომ ამ გეგმებს ფრთები შეაახას. ნინო მტკიცე ხასიათის სპორტსმენია, დაუღალავი მშრომელი. მისი სიტყვა და საქმე არასდროს სცილდება ერთმანეთს და ამიტომაც ველით მისგან ახალ წარმატებებს ეროვნული სპორტის საღიღებლად.

## მთაშველელი

### ლია კობალაძე

მოიძია წრიანები,  
 მთაზე ასვლა უნდა სინჯოს,  
 გაეკიდნენ კუდში დები:  
 — წავვიყვანე, გიგა-ბიჭო!  
 — დამეხსენით, დამაცადეთ,  
 წახუყვანი არ ხართ არსად,  
 ბატებივით დაბანჯალებთ,  
 როგორ შეძლებთ მთაზე ასვლას?  
 — რაო, ვითომ, რაო, ვითომ,  
 რას დაგვცინი აგრეოვად?  
 ჩვენ რომ გვკითხო, ბიჭო, გიგა,  
 მთაშველელს კოჭი არც შენ გიგავს!..

მხატვარი ვაჟა შარბული





## გოგრა

გოგრას კვანძი ჰქვია ქართულად. ერთიც კარგი სახელია, მეორეც. თქვენის ნებართვით, კი პატარებო, მე დღეს «გოგრას» ვიზმარებ. რაღაც არის ამ სახელში ღმერთიანიც. ხომ გავიგონიათ დიდთავა ბიჭზე — შეხედეთ, რამოდენა გოგრა ადგასო მხრებზე!

ეს მცენარე ამერიკიდან არის მობრძანებული. იქ ორ მთავარ ჯიშს გამოარჩევენ: მექსიკურს და სამხრეთამერიკულს. ძნელი არ არის მათი გამოცნობა. ერთიც დიდი იზრდება, მეორეც, მაგრამ მექსიკურ გოგრას ხესავით მზარეო ქერქი აქვს, იმდენად მაგარი, რომ მისი დანით გაჭრა შეუძლებელია, ამიტომ ან ხერხავენ, ან ცუდით ქეხავენ.

ყველას გინახავთ გოგრები ბოსტნუბში და ბაზარშიც. ბოსტნუბში გოგრებს ღობეებზე ახოხებდა და მეორე მხარეს გადამტომა უყვართ, იქაც დაჰკიდებენ მშვენიერ ნაყოფებს. ბაზარში კიდევ ფერადოვან გორაკებად დგანან. ზოგი ყვითელია, ზოგი თეთრი, ზოგი მთლურჯო, ზოგი მწვანე, ზოგი ჭრელი. ზოგს ქერქი გლუვი აქვს, ზოგს ხორკლიანი, კორმებიანი. კორმებიანს ჩვენში ხოკერა გოგრას ეძახიან. ის ძალიან გემრიელია, სამკურნალო თვისებებიც აქვს და ყველანი დიდად აფასებენ.

არის გოგრები, ას კილოგრამს რომ იწონიან. ყოფილა ორას კილოგრამიანებიც. ამ გოგრებს სახელებიც შესაფერისი ჰქვიათ — მამონტები, ვეშაპები. ერთხელ ასეთი სურათიც კი იყო დაბეჭდილი გაზეთში — თავადაჭრილ ვეშაპში გოგრაში სამი ბიჭი იჯდა და გულთანად იცხოვდა. ყოფილა გოგრები,

გულს ამოაცილიდნენ და კასრებად ხმარებდნენ. შიგ ამწნილებდნენ კიტრებსაც. კიტრის მწნილი უგემრიელებს ყოფილა.

იცით, კიდევ რით არის ცნობილი გოგრა? სადაც ითვისება, იმ მიწაზე სარეველა მცენარეებს საბოზს. მისი ფესვები, დიდ-დიდი ფოთლები და ღეროები მიწას ანოყიერებენ კიდევ. ლარნაკების მაგვარი გოგრის ყვითელი ყვავილები ხომ თავლის წყაროებია, გუნდ-გუნდად დასტრიალებენ ფუტკრები, ისრუტავენ ტკბილ წვენს და მიაქვთ თავიანთ სკებში. თანაც — ეს ცუდი კი არ არის გოგრებისთვის, პირიქით, ყვავილების დამტვერვას უწყობს ხელს. კარგად დამტვერილი ყვავილები კი მეტ გოგრებს იხსამენ.

ზოგი გოგრა იმდენად ტკბილია, თუთმეტ პროცენტამდე შეიცავს შაქარს. ეს იმას ნიშნავს, რომ 100 გრამ გოგრის გულში 15 გრამი შაქარია. გოგრას სიამოვნებით მიირთმევენ ყველგან. მისგან ამზადებენ მრავალნაირ ნუბებარ საჭმელებს. გოგრის თესლისგან ხდიან ზეთსაც. ამბობენ, ეს ზეთი მზესუმზირის ზეთზე უკეთესიც კია.

გოგრა უნდა უყვარდეს ყველა პატარას, ის ცნობილი გამზრდელია. შეიცავს სასარგებლო ვიტამინებს, მათ შორის კი ვიტამინ C-ს, რომელიც ებრძვის სიბერეს. გოგრა სანუკვარი საკვებია ცხველებისთვისაც. გოგრის კარგმოსავლიანი ნაკვეთები დიდ-დიდი ქვებით მოფენილ რიყებს ჰვავს.





# ფაფხულის გულაში

საქართველოს  
განათლების

თეატრ გოზაძე

ჩამოვარდი, გეხვეწები, ჩამივარდი უბეში,  
თორემ ქარი იმუქრება, გაგტყორცნიო გუბეში.  
წვერში რატომ კონწიალობ, დათაფლულს ყვითელს?  
მკათათვეში შემეყვარდი, ცალი ლოყით წითელს.



პალარი ზინჭარაძე

## ნარილი

ქ. თელიანის აღმასკომის  
თავმჯდომარეს, პატივცემულ  
გიორგი ბიძიას.

მოგახსენებთ, რომ მე და ჩემი ორი პატარა ძმა ვცხოვრობთ ქ. თელიანში, სანანძროსთან. ჩვენთან ცხოვრობენ აგრეთვე მამაჩემი და ბებია. სანამ ჩემს სათხოვარს გაგაცნობდეთ, მინდა მოგიყვებო ჩემი ძმების ამბავი. მე ოჯახში ბაიყუს მუძახიან, მაგრამ სამაგიეროდ უმცროსები ისეთი გიჟი-გადარეულები არიან, ადგილზე ვერ ისვენებენ. საითაც შუათანა გაუტყვეს, ნაბოლარაც, მეცამეტე გოჭივით, იქ მიებეტება. გაიხედავ, — მაგიდაზე ამძვრალან, გამოიხედავ, — უკვე ფანჯარაში გადადიან. მოკლედ, მათი ეზოში მარტო გაშვება არაფრით არ შეიძლება. მე, მაგალითად, შუადღისას რომ დამსვამდნენ სილასთან, დაბინდებამდე ვბუგუნაობდი ერთ ადგილზე: გავაკეთებდი გვირაბს და მერე ჩამოვანგრევდი, გავაკეთებდი და ისევ ჩამოვანგრევდი. სილა ახლაც გამოუღლებლად ყრია ჩვენს ეზოში. მაგრამ ჩემს ძამიკოებს გვირაბების გაყვანა ნაკლებად აინტერესებთ. ვერც გავამ-

ტყუნებ, კაცია და გუნება — ჩვენი ეზოს გადაღმა რა ხდება, იმის გაგება უფრო უნდათ და მეც სხვა რა გზა მაქვს: დევანებზე თავს ჩემს საქმეებს, ჩავკიდებ მაგრად ხელს ორთავს და დავხეტილობთ ქალაქის ქუჩებში. ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, ხანდახან უცნაური აჩემება რომ არ იცოდნენ:

— უჩა, დიდი ხიდიდან გადავიხედოთ მდინარეში, ხო? — მეტყვის ნაბოლარა, როგორც კი ეზოდან გადავალოთ.

— არა, ჭერ გედებს ვნახვით და მერე მდინარეზე... — იმწამსვე გასცემს ჩემს მაგივრად პასუხს შუათანა.

— არაფერიც! ჭერ მდინარეზე, ხო, უჩა?

ყველანაირი პასუხი ვცაადე უკვე, მაგრამ ერთხელ არ მახსოვს, ორივენი კმაყოფილნი დამრჩენოდნენ. რომ დაიუინებენ თავისას და გასცხებენ ხელსა და ფეხს, ჩვენს ყურებას არ სჯობია არაფერი.

თქვენც კარგად მოგეხსენებათ, თეატრის გვერდით რომ პატარა გუბურაა შემოღობილი და შიგ ორი თეთრი გედი რომ დაცურავს. იქ მისასვლელად საჭიროა სა-

საქართველოს  
განათლების



ხანძროსთან მარცხნივ ჩავუხვიოთ და წიწიბურას აღმართზე ავიდეთ, ხოლო თუ მდინარესთან გვინდა ჩახვლა, მაშინ სულ სხვა მხარეს, თქვენი აღმასკომისაკენ უნდა წამოვიდეთ. ახლა წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, ერთი ძმა ზემოთ მექაჩება და მეორე — ქვემოთ. კი ვიცი, სწორად რომ არ ვიქცევი, მაგრამ როცა გამახსენდება, რამდენი გაკვეთილი დამრჩა მოსამუშაოდელი, გაბრაზებულ გულზე ერთი-ორს წავუთაქებ კიდევ ზოგჯერ ორთავეს, მაგრამ ეს მთლად უარესი — ათჯერ მაღალ ხმაზე იწყებენ ბლავილს.

მე კიდევ რა მიჭირს, ბებიაჩემს სულ შვდღეს აყრიან: არაქათგამოცლილი რომ დაბრუნდება ასეთი გახეირნიებიდან, ბევრი სიარულისგან ფეხები უსივდება და მთელი ღამე კენესის. ამასწინათ ერთი

ხერხი მოიგონა ბებიაჩემმა, ქუჩებში ნეტიალი რომ თავიდან აეცილებინა. პირველ ნომერ ავტობუსში აუყვანა ჩემი ძმები, წინა სკამზე დაუსვამს ორივენი, იქნებ ფანჯარაში ყურებით გაერთონო. ამ უკუღმართებს ფანჯარაში ყურება, მართალია, არ უსურვებიათ, მაგრამ მოლხენით მშვენივრად მოუღხენიათ: ერთმანეთის ჯიბრზე უკითხავთ და უკითხავთ რაც ლექსები იცოდნენ, მერე კი ხმის ჩახლექამდე უმღერიათ, გადაურევიათ მგზავრები. ბებიაჩემმა თქვა: არაფრით აღარ ქნეს ავტობუსიდან ჩამოსვლა, სამჯერ გავედით და გამოვედით ქალაქის თავიდან ბოლოში, დავიწვი სირცხვილი-საგან, უამრავი ნაცნობი შემხვდა და ყველა ბილეთს მიღებდა. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ამათი ბალის მასწავლებელს შრომის გამირობას მივანიჭებდი უწყყმანოდ.

როცა ჩემი ძმები ბაღში არიან, კი ვართ მოხვენებული, მაგრამ შაბათ-კვირას, მთელი დღე რომ შინ სხედან, ოთახების დალაგებას ვერ აუღის ბებიაჩემი. შიში და ხათრი მარტო მამაჩემისა აქვთ ჩემს ძმებს, მაგრამ მამაჩემი, გათენებული არაა, სახლიდან მიდის და გვიან ღამით ბრუნდება, რადგან დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ ორ სამსახურში მუშაობს შეთავსებით.

გიორგი ბიძია!

მე იმიტომ მოგიყევით ჩვენი გაჭირვების ამბავს, რომ სათხოვარი მაქვს თქვენთან.


ამასწინათ ტელევიზიით აჩვენეს, თუ როგორ ათვალიერებენ ამერიკელი ბავშვები „დისნეი ლენდს“. ძალიან კარგი იქნება, თუ თელიანშიც გააშენებთ ასეთ დასასვენებელ პარკს. მაშინ ჩემს ძამიკობებს ისე მოეწონებათ იქ ყოფნა, რომ სხვაგან წაყვანას აღარ მოგვთხოვენ მე და ბებიაჩემს.

1. უდიდესი სალოცავი, რომელიც ჩვენთან არს...
2. ცხოველი, რომლის სახელობის წელიწადს იმედით შეხვდა საქართველოს.
3. თვე, რომელმაც დიდი ტრაგედია მიაყენა ქართველ ერს.
4. სამფეროვანი საგანი — ქართველობის ეროვნული სიმბოლო.
5. სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმა, რომლისთვისაც იბრძვის ქართველი ერი.
6. დაწესებულება, სადაც ბავშვები ღებულობენ განათლებას.
7. ვედრება ღვთისადმი.
8. უწმინდესი სიტხე, რომელიც მრავალჯერ გაუღია ქართველ ერს სამშობლოსათვის.
9. ქართველთა ხარწმუნოება.
10. სალოცავად ანთებული საგანი.
11. მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყანა — ჩვენი სამშობლო.
12. ადგილი, სადაც საქართველოს ღირსეული მამულიშვილები განისვენებენ.

ფერად სვეტში წაიკითხავთ საქართველოს ეროვნული გმირის სახელსა და გვარს.

ნანა პრაქაძე

# თავსაცხენი



# ჭაშუყვი

შოთა აპირანაშვილი

წელიწადში თორმეტია,  
წლის დროში კი სამი,  
შუა ბგერის გადახმაც  
არ სჭირდება წამი,  
ძალზე წელა მიმდინარე


წეალი გვინდა ახლა. —  
თუ მოაკლებ იმ თანხმოვანს,  
წინ რომელიც ახლავს,  
მამულისთვის თავდადებულ  
მღვდლის სახელი გახლავს.



შპს-ს მფლობელი ნანა იოსელიანი

# ჩიქო

ქართული ინტელიჯენცია



გამოცემის 1904 წლიდან.  
საქ. კ. ცკ-ის გამოცემულია.

შპს-ის რედაქტორი  
**რეჟისორი**  
**რეჟისორი**

სარედაქციო კოლეგია: მუხრან აბო-  
კაძე, მანანა აბოშიძე, ლამარა გაბუა,  
სოსო პოზიანიძე, მერი ლაბიძე-  
შვილი, სოლომონ ლომოვანაშვილი,  
ლევან შაბაძე, ვალა ლომანიძე,  
მედიკოსი მარკოშვილი, ჯურბა ნა-  
ლიძე, მინდოზი ნალაძე (პ/შ, მდი-  
ვანი), ბიჭო მესხიძე, ბიჭო ბიჭიანიძე.

სამხატვრო რედაქტორი  
**ბიჭო ბიჭიანიძე**

ტექნიკური რედაქტორი  
**ანდო წამბიძე**

შესამართო: რედაქციის, გამოცემის,  
სტამბის-ობის, შ. კოსტავას 14. ტელ:  
მა. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16;  
პ/შ, მდივანის 93-10-32, 93-98-18; საშ.  
რედაქტორის-93-98-18; განყოფილებ-  
ის 93-98-19#

გადაეცა ასაწილად 31.05.90 წ. ხელმო-  
წერილია დასაბუღად 25.07.90 წ. ქა-  
ლელის ზომა 60x90<sup>1/2</sup> ფი. ნაბ.  
ფურც. 2,5. ტირაჟი 141.500, შეჯვარი  
№ 1261

ფაქსი ნახატი  
**ზაზა მესხიძე**

«Dila» («Утро»)   
Отпечатано в типографии издатель-  
ства ЦК КП Грузии.  
Главный редактор Реваз Инаняшви-  
ли (тел. 93-41-30).  
Адрес редакции и издательства:  
380096, г. Тбилиси ул. М. Коставы 14.  
Объем 2,5 печатных листа, тираж  
141.500. Заказ № 1261

### გაწოდება

ჟურნალ „დილის“ № 6-ში გარკვევის მქონე  
გვერდის სათაური „150 წლის წინათ დაიბადა  
21 ივნისის აკაკი წერეთელი“. უნდა იკითხო-  
ბოდეს „150 წლის წინათ 21 ივნისის დაიბადა  
აკაკი წერეთელი“.

შეშვით გვერდზე დასტამბული ლექსის  
„პასუხი აკაკის“ ავტორის ვინაობა უცნობია,  
ხოლო მერვე გვერდზე გამოქვეყნებული ლექსის  
„აკაკის“ ავტორი არის ტასო იუერკევიჩი.

როგორი თემატიკა დაიხიროს კატაგორია?